

FM 36  
2

F



საბჭოთა საქართველოს

კ ი მ ნ ი

მასიური შესავლის  
სახელმძღვანელო.

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი  
თბილისი  
1947






ეროვნული  
ბიბლიოთეკა

FM 36  
2

ივანე ჯავახიშვილის ქ. 26



რედაქტორი გრ. კილაძე




# საბჭოთა საქართველოს ჰიბნი

მასიური ფესვავლის სახელმძღვანელო  
(თვითმომკმედი წრეებისათვის)

FM 36  
2

შედგენილია ნიკოლოზ ჭიაურავის მიერ

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა  
თბილისი 1947











Handwritten musical score for voice and piano. The score is written in G major (one sharp) and 4/4 time. It consists of two systems of music. The first system contains two staves of vocal melody and two staves of piano accompaniment. The second system also contains two staves of vocal melody and two staves of piano accompaniment. The lyrics are written in Georgian script below the vocal staves. The piano part includes various markings such as *Andante*, *Allegro*, and *Andante*, along with dynamic markings like *pp*, *f*, and *mf*. The score concludes with a double bar line and the number 1.2.



## საბჭოთა საქართველოს ჰიმნი

იდიდე მარად, ჩვენო სამშობლო,  
გმირთა კერა ხარ გაუქრობელი;  
ქვეყანას მიეც დიდი სტალინი,  
ხალხთა მონობის დამამხობელი.

შენი ოცნება ასრულდა,  
რისთვისაც სისხლი ღვარეო;  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!

დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა  
შენ გაგინათა მთები ჭაღარა;  
სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა,  
გადაგაქცია მზიურ ბაღნარად.

მოძმე ერების ოჯახში  
დამკვიდრდი, გაიხარეო;  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი  
აზრი, ხმალი და გამბედაობა;  
დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს  
სჭედს სტალინური წრთობის თაობა.

საბჭოთა დროშა დაგნათის,  
მზესავით მოელვარეო;  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!



საბჭოთა საქართველოს ჰიმნის მასობრივად შესწავლის ორგანიზაციისათვის საჭიროა წინასწარ ჩატარდეს მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები: დაურიგდეს ჰიმნის შემსწავლელი წრის მონაწილეებს დაბეჭდილი ფურცლები ჰიმნის ტექსტით, რომ აღრევე იქნას იგი შესწავლილი ზეპირად. მომზადდეს უკვე გამოცემული, ან მიეცეს შეკვეთა მხატვარს, გააკეთოს პლაკატი, სადაც მსხვილი შრიფტით უნდა იყოს დაწერილი საბჭოთა საქართველოს ჰიმნის ტექსტი. ჰიმნის შესწავლისათვის ასევე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს უზრუნველყოფილი იქნას ინსტრუმენტალური თანხლება. (სასულე ორკესტრი, ფორტეპიანო ან სხვა რომელიმე მუსიკალური საკრავი).

ფორტეპიანოს დამკვრელთან საჭიროა ჩატარდეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. მან უნდა იცოდეს ჰიმნის ცალკეული ფრაზებისა და მისი მთლიანი მელოდიის სწორად, საჭირო ტემპით დაკვრა. მას აგრეთვე უნდა შეეძლოს ჰიმნის პირველი—მეორე, მეორე—მესამე, პირველი—მესამე და ყველა ხმების ერთდროული შესრულება საჭიროების მიხედვით.

ინსტრუმენტალური თანხლება (აკომპანიმენტი) საჭიროა ნასწავლი ჰიმნის მთლიანი ან მისი ცალკეული ნაწილების შესრულების დროს.

აკომპანიატორს უნდა მოეთხოვოს ზუსტი და მკვეთრი გადმოცემა ჰიმნის მელოდიური და რიტმული მხარისა. მან, თანახმად ნოტებში აღნიშნული ნიშნებისა, უნდა დაიცვას ჰიმნის მუსიკის დინამიკის გამომხატველი პირობითი ნიშნები (მახვილები  $f$ ,  $p$ ,  $<$   $>$  და სხვა).




ჰიმნის მასობრივად შესრულება შედარებით ადვილია მისი ერთ ხმაზე სიმღერით (უნისონში). ამიტომ დიდ ჯგუფებთან ჰიმნის შესწავლა ხდება წამყვანი მელოდიით, რომელიც ნოტებში გამოსახულია პირველი — მაღალი ხმისათვის.

საბჭოთა საქართველოს ჰიმნის სამ ხმაზე შესწავლა, უმთავრესად ხდება მხატვრულ თვისმომქმედ გუნდებთან და უფროსი ასაკის ბავშვებისაგან შემდგარ სკოლის გუნდებთან.

ჰიმნის მეორე და მესამე ხმის შესასწავლად საჭიროა გუნდიდან გამოვყოთ უფრო მუსიკალური და მელოდიის ადვილად ათვისების უნარიანი წევრები, ხოლო მესამე ხმისათვის განკუთვნილი შემსრულებლები ამასთანავე ერთად დაბალი ხმითაც უნდა იყვნენ დაჯილდოებულნი.

საბჭოთა საქართველოს ჰიმნის შესწავლა მით უფრო ადვილდება, რომ მისი ცალკეული ხმები არც თუ ისე დიდ დიაპოზონს მოიცავს.



ჰიმნის მელოდია ყველა მომღერალმა კარგად უნდა აითვისოს. სწორედ და მწყობრად გადმოსცეს იგი. მელოდიის ცალკეულ ბგერების შეცვლა (ერთი ბგერიდან მეორე ბგერაზე გადასვლა) ერთდროულად და




ზუსტად უნდა ხდებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველი მუსიკალური ფრაზის შეთანხმებული, ერთდროული დაწყება და დაბოლოება. ხანგრძლივი ხმოვანების ბგერები უნდა სრულდებოდეს შეუსუსტებელი სიძლიერით. უნდა ვერიდოთ მუსიკალური ფრაზების ბოლო ბგერის ხმოვანების მკვეთრად შეწყვეტას შემდეგ სიტყვებზე: „ჩვენო სამშობლოვ“ ( $\frac{1}{4}$  გრძლიობის ბგერა), „გაუქრობელი“ ( $\frac{3}{4}$  გრძლიობის ბგერა), „დამამხობელი“ ( $\frac{1}{2}$  გრძლიობის ბგერა), „სისხლი ღვარეო“ ( $\frac{1}{2}$  გრძლიობის ბგერა), „ქვეყანავ“ ( $\frac{4}{4}$  გრძლიობის ბგერა) და ბოლოს „მხარეო“ ( $\frac{3}{4}$  გრძლიობის ბგერა).


ჰიმნის როგორც ერთხმიანი ისე სამხმიანი სიმღერის შესწავლის დროს, მიზანშეწონილია მივმართოდ სწავლების შემდეგ მეთოდს:

### 1. ტემპის კოლექტიური კითხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირველესად საჭიროა ტექსტის დამოუკიდებელი, ინდივიდუალური შესწავლა. ამის შემდეგ ჰიმნის შესწავლის ყველა ონაწილე, ხელმძღვანელის თაოსნობით ხმამაღლა, ერთხმად კითხულობს პირველ ორ სტრიქონს. მისი ათვისების შემდეგ, საჭიროა იგი წარმოითქვას რიტმიულად, როგორც ეს ნოტებში არის აღნიშნული.




ი - დი - - დე მა - რად, ჩვე - ნო სამ - შო - ბლოვ,




გმირ - თა კე - რა ხარ გა - უქ - რო - ბე - ლი;

FM 36







ი-ღი-ღე მა-რად, ჩვე-ნო სამ-შო - ძლოვ,



გმირ-თა ვე - რა-ხარ გა-უ-ქრობე - ლი; ქვე-ყა-



ნას მი-ეც დი-დი სცა - ლი-ნი ხალხ-თა



მო-ნობის და-მამ-ხო-ბე - ლი.

პირველად თვით ხელმძღვანელი, ფორტეპიანოს ან სხვა რომელიმე მუსიკალური საკრავის აყოლებით, რამდენჯერმე (2, 3 ჯერ) ხმამაღლა და გამომსახველად მღერის ჰიმნის პირველ რვა ტაქტს. ამის შემდეგ იგი ხსნის, რომ ეს მუსიკალური ფრაზა ორი ნაწილისაგან შესდგება და ყოველ მათგანს განცალკევებით შეისწავლიან.

ჰიმნის შესწავლას ასევე ხელს შეუწყობს, თუ მასიური სიმღერის დაწყების წინ, რომელიმე მუსიკალურ საკრავზე რამდენჯერმე შევასრულებთ მელოდიის მხოლოდ ოთხ ტაქტს, ხოლო შემსწავლელი წრის ყოველი წევრი გულდასმითი მოსმენის გარდა ჩუმად, უხმოდ, იმღერებს მას. როდესაც გუნდის წევრების მესიერებაში დამკვიდრდება მელოდია, მხოლოდ მაშინ შეიძლება შეუდგეთ ჰიმნის პირველი ოთხი ტაქტის მასიურ სიმღერას.





თუ ჰიმნის შემსწავლელთ უძნელდებათ ამ ოთხ-ტაქტიანი მუსიკის ერთდროული ათვისება, ამ შემთხვევაში და მომავალშიაც, ყოველი ოთხტაქტიანი დაჯგუფება შეიძლება დაიყოს ორტაქტიანად.

პირველი ოთხი ტაქტის მუსიკის შესწავლისას ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სიტყვების მკაფიო და შეწყობილ გამოთქმაზე, ბგერათა ზუსტ ცვლასა (ინტონაციასა) და, რაც მთავარია, მუსიკის რიტმიულ მხარეზე სიტყვა „ჩვენო“-ზე.

ვინაიდან ეს სინკოპირებული რიტმი მომავალში რამდენჯერმე შეგვხვდება, საჭიროა ამ პირველსავე შემთხვევაში შემსწავლელმა წრემ თავიდანვე კარგად აითვისოს იგი.

დაუშვებელია მერვედის გრძლიობის გადიდება ან შემცირება. იგი ყველა შემთხვევაში უნდა სრულდებოდეს ზუსტად და მკაფიოდ.

როდესაც ყველა ეს სიძნელეები დაძლეული იქნება, იმავე მეთოდით უნდა შევუდგეთ პირველი მუსიკალური ფრაზის მეორე ნახევრის, ე. ი. მომდევნო ოთხტაქტიანი დაჯგუფების შესწავლას.

ვიდრე ამ ორ ჯგუფს გავაერთიანებდეთ, ხელმძღვანელმა ჯგუფის წევრებს წინასწარ უნდა აუხსნას, რომ პირველი ოთხი ტაქტის დამთავრების შემდეგ საჭიროა ერთდროული სუნთქვის აღება, ანუ პატარა შესვენების—ცეზურის გაკეთება.

ჰიმნის შესწავლა მით უფრო გაადვილდება, თუ ყველა ეს მხარეები თავიდანვე სათანადოთ იქნება ათვისებული შემსწავლელი წრის ყველა წევრის მიერ.

ჰიმნის მომდევნო რვა ტაქტის მუსიკის სწავლება იმავე ხერხით უნდა მიმდინარეობდეს.

1. შევასწავლოთ ტექსტის რიტმიული კითხვა.
2. რვატაქტიანი მუსიკა დაიყოს ორ 4 ტაქტიან



ჯგუფად და თითოეული მათგანი ისე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებელივ იყოს შესწავლილი.

როდესაც ჯგუფი საკმაოდ კარგად დაეუფლება ჰიმნის მელოდიის პირველი 16 ტაქტის გაერთიანებულ სიმღერას, ხელმძღვანელმა მხოლოდ მაშინ უნდა მოჰკიდოს ხელი ჰიმნის შედარებით რთულ მეორე ნახევარს, ე. ი. დანარჩენი 12 ტაქტის მუსიკას.

ეს ნაკვეთი სასურველია სამ თანასწორ ოთხტაქტიან ჯგუფად დაიყოს. თუმცა ისევე, როგორც წინა შექთხვევებში, ყოველი მათგანი შეიძლება საჭიროების მიხედვით ორ-ორ ტაქტად დავყოთ.

შე-ნი: ოც-ნე-ბა ას-რულ-და, რის-თვი.  
 საც სისხლი ღვა-რე-ო; აყ-ვავ - დი ჭურ-ფა  
 ქვე - ყა - ნავ, ილ-ხი - ნე ქართ-ველთ  
 შხა - რე - ო! შხა - რე - ო!


ამჯერად წრის ხელმძღვანელმა თავისი ყურადღება უნდა გაამახვილოს: 1. პირველი მუსიკალური ფრაზის გარეტაქტის გამახვილებულ რიტმზე. როგორც სანოტო მაგალითშია აღნიშნული, ისინი მახვილიანი



ბგერებია და ორივე შემთხვევაში მათი რიტმიული მხარე ნათლად უნდა იყოს გამოვლენილი.

2. ზუსტად უნდა იქნეს დაცული „სუნთქვა“ იმ ადგილებში, რომლებიც სანოტო მაგალითში შვეული ზაზით არის აღნიშნული (↘).

3. ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ახალ მელოდიურ ხვეულებს, რომლებიც ჰიმნის უკანასკნელ ოთხ ტაქტშია მოქცეული.



თუ წინა მუსიკა უმთავრესად გამოკვეთილი, მაზვილოვანი ხმოვანებით სრულდებოდა, ამ შემთხვევაში აღნიშნული ყოველი მახვილი შედარებით რბილად და ზომიერად უნდა შესრულდეს. მით უმეტეს, რომ ლეგატოთი გაერთიანებული და მელოდიური ბგერები მეთექვსმეტელებში (რე, მი, რე) შედარებით მღერად, პლასტიურ ასრულებას მოითხოვს.

### 3. ჰიმნის მეორე ხმის სწავლება.

საბჭოთა საქართველოს ჰიმნის მეორე ხმა, როგორც მელოდიის ისევე რიტმის მხრივაც, ძალიან ემსგავსება პირველ ხმას. ამის შედეგად ჰიმნის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელმა ყურადღება უმთავრესად ჰიმნის მუსიკის იმ მხარეებს უნდა მიაქციოს, რომელთა შესახებ წინა თავში გვქონდა აღნიშნული.

ისევე, როგორც პირველი ხმის სწავლებისას, ამჯერადაც თანამიმდევრობით უნდა იყოს ჩატარებული:

1. ჰიმნის ტექსტის ზეპირი სწავლება.
2. ჰიმნის ტექსტის რიტმიული სწავლება.



3. ჰიმნის მეორე ხმის დაყოფა და მათი სწავლება ცალკეულ ნაწილებად იმ სახით, როგორც იგი პირველი ხმის შესწავლის დროს ხდებოდა.

4. ინსტრუმენტალური თანხლების საშუალებით მეორე ხმის მომღერლები შევაჩვიოთ დანარჩენ ორ ხმასთან სიმღერას და განსაკუთრებით კი პირველთან.

ჰიმნის მეორე ხმის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექსტის პირველი ტაქტის სიტყვა „მონობის“-აზე თანხვედრილი მუსიკის შესრულებას. ის ბგერები, როლებიც სიტყვა „მონობის“ უკანასკნელ მარცვალზეა მოქცეული, მკვეთრად და ზუსტად უნდა შესრულდეს, რადგან გუნდის გაერთიანებულ ხმოვანებაში ბგერათა ეს სვლა მკაფიოდ უნდა ისმოდეს.


#### 4. ჰიმნის მესამე ხმის (ბანის) შესწავლა.

ბანის ანუ მესამე ხმის სამღერი მუსიკა, პირველ და მეორე ხმისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ამის შედეგად ჯგუფის ხელმძღვანელს უფრო მეტი სიფრთხილე და მუყაითობა მართებს სწავლების დროს. მით უმეტეს, რომ ბანის კარგი შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პირველი და მეორე ხმების შეწყობილ სიმღერას და საერთოდ უზრუნველყოფს ჰიმნის სათანადო ჟღერას.

ბანის ხმის სწავლება ც ძირითადში იმავე მეთოდით უნდა სწარმოებდეს, რადგან აღნიშნული ხერხი ყველაზე იოლია და პროდუქტიული.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხმის შემდეგი სვლების სისწორეს:





ჰიმნის შემსწავლელთა მეხსიერებაში, ბანის პარტიის დასამკვიდრებლად უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ინსტრუმენტალური თანხლების ის ხერხი, რომელიც წინა თავში გვქონდა აღნიშნული.

როდესაც მოსწავლეები საკმაოდ კარგად აითვისებენ ამა თუ იმ მუსიკალურ ფრაზას, საჭიროა გამეორებისას ფორტეპიანოზე ან სხვა რომელიმე მუსიკალურ საკრავზე ყველასათვის გასაგონად სრულდებოდეს ჰიმნის პირველი და მეორე ხმა. ამით ბანის შემსრულებლები შეეჩვევიან ჰიმნის საერთო ელერას და ეს მომავალში ყველა ხმების გაერთიანებული სიმღერის სწავლას გაგვიადვილებს.





### 5. ჰიმნის პირველი, მეორე, და მესამე ხმების უწყობიანი პრტიანება.

გუნდის ყველა ხმების გაერთიანება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შემსწავლელი წრის ყოველი ჯგუფი მისთვის განკუთვნილ მუსიკას თავისუფლად და შეუცდომლად ასრულებს.

სანამ ჰიმნის ყველა ხმების ერთდროული სიმღერის სწავლას დავიწყებდეთ, საჭიროა თითოეული ხმა ერთხელ კიდევ შევაპოწმოთ ინსტრუმენტალური თანხლების ორივე ვარიანტით. ე. ი.: 1. როდესაც მუსიკალურ საკრავზე ვასრულებთ იმ მელოდიას, რომელსაც ჯგუფი მღერის და 2. როდესაც მუსიკალურ საკრავზე უკრავთ იმ ხმებს, რომლებიც ამჯერად არსრულებდა.

ამის შემდეგ, შეიძლება ვცადოთ პირველი და მეორე ხმის გაერთიანებული სიმღერა; ხოლო როდესაც შემჩნეულ შეცდომებს გამოვასწორებთ და თვით გუნდის წევრებიც შეეჩვევიან ჰიმნის ორხმიან უწყობას, შეიძლება შევუერთოთ მესამე ხმაც.

ამ მთლიან ხმოვანებაში გამოუცდელი გუნდის ცალკეული წევრების შეცდომების შემჩნევა მეტად ძნელია და ამიტომ გუნდის წევრებსა და თვით ხელმძღვანელს ყურადღების დაქაბვა ჰპართებს. ყოველი ცალკეული შეცდომა მაშინვე უნდა გამოსწორდეს და გამკვიდრდეს მისი მართებული შესრულება.

უმთავრესად შეცდომები მოსალოდნელია შემდეგ ადგილებში:

საბჭოთა საქართველოს ჰიმნის მხატვრული შესრულება შედარებით ადვილია, თუ დავიცავთ წინდართულ ჰიმნში აღნიშნულ ყველა პირობით ნიშნებს. ტემპისა და შესრულების ხასიათის გამომხატველი სიტყვა **Maestoso**, რაც ქართულად მედიდურს,




საზეიმოდ.

ი - დი - დე მ - რად, ჩვე - ნო სამ - შობ - ლზე, გმირ - თა ყ - რა ხარ გა - უქ - რო - ბე - ლი;  
 ქვე - ყა - ნას მი - ეც დი - დი სტა - ლი - ნი, ხალხ - თა მო - ნო - ბის და - მამ - ხო - ბე - ლი. შე - ნი  
 ოც - ნე - ბა ას - რულ - და, რისთვისაც სის - ხლი ღვა - რე - თ; აყ - ვავ - დი ტუ - რფა ქვე - ყა - ნავ,  
 ილ - ხი - ნე ქართველთ მხალ - რე - თ, ომ, მხა - რე - თ -

ზვიადს ნიშნავს, მთლიანად განსაზღვრავს ჰიმნის შესრულების ბუნებას.

საბჭოთა საქართველოს ჰიმნი ჩვენი ერის სახელოვან წარსულს, გმირულ აწმყოს და ბრწყინვალე მომავალს ასახავს. ამიტომ მის შესრულებისას უნდა ვეცადოთ არ შევასუსტოთ მისი ბუმბერაზული, მძლვე, ამაყი და მედიდური ხასიათი. მისი ფართოდ გაშლილი ხალხური წარმოშობის მღერადი მელოდია აღსავსე ენერგიული რიტმით თავიდანვე საზეიმოდ და გმირულად უნდა ავახმოვანოთ.

შ. შ. შ. შ.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X—47 წ. უგ 12776. ანაწყობის ზომა 6×10  
 სასტამბო ფორმათა რაოდენობა 1, ქალაქის ზომა 60×92, ტირაჟი 4.000  
 შექ. № 1436.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ფანი 2 მ.

42/1

47-989  
თარგმანი  
ზიზლირთი

Г и м н  
Советской Грузии  
(На грузинском языке).

Госиздат Грузинской ССР  
Тбилиси  
1947